

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის

საკონტაქტო პირი: თეონა ყუფუნია, NDI
საქართველოს პროგრამის ხელმძღვანელი
(+995) 577 719134; tkupunia@ndi.org

15 ივლისი, 2013

კოალიცია ქართულ ოცნება და ივანიშვილი პოპულარობას ინარჩუნებენ; ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტიად რჩება

თბილისი - დღეს ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები წარადგინა. კვლევის მიხედვით, პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კვლავ ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ ლიდერად რჩება საქართველოში და მისი მოწონების მაჩვენებელი 69 პროცენტს შეადგენს, ხოლო გამოკითხულთა 52 პროცენტი კოალიცია ქართულ ოცნებას მათთან ყველაზე ახლოს მდგომ „პარტიად“ მიიჩნევს. გამოკითხულთა 47 პროცენტმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა.

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის მოწონების მაჩვენებელი 61 პროცენტია. მას მოყვება პარლამენტის წევრების ეკა ბესელიას, 52 პროცენტი და თინა ხიდაშელის, 51 პროცენტი, მოწონების მაჩვენებლები. გამოკითხულები უმცირესობის ლიდერს, დავით ბაქრაძეს, ყველაზე პოპულარულ ოპოზიციურ ლიდერად მიიჩნევენ. მისი მოწონების მაჩვენებელი 48 პროცენტია.

კოალიცია ქართულ ოცნება, ხუთი ერთიანი შეფარდებით, უსწრებს ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც გამოკითხულთა 10 პროცენტი მათთან ყველაზე ახლოს მდგომ „პარტიად“ მიიჩნევს. ჯამურმა მაჩვენებელმა იმ გამოკითხულებისა, ვინც კითხვაზე, რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს უპასუხა „არც ერთი პარტია“, „უარი პასუხზე“ ან „არ ვიცი“, შეადგინა 32 პროცენტი.

გამოკითხულთა 75 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციური პარტიის არსებობა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა გამოკითხულთა 47 პროცენტმა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად დაასახელა. რესპონდენტებმა აგრეთვე დაასახელეს ქართული ოცნება - 5 პროცენტი, დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო 4 პროცენტი, ლეიბორისტული პარტია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა და თავისუფალი საქართველო თითოეული - 3 პროცენტი.

კითხვაზე, ყველაზე მეტად ვის ისურვებდით საქართველოს შემდეგ პრეზიდენტად, გიორგი მარგველაშვილი ლიდერობს და წარმოდგენილია 29 პროცენტით. მას მოყვება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაუსახელებელი კანდიდატი 10 პროცენტით. ნინო ბურჯანაძე 5 პროცენტით არის წარმოდგენილი. გიორგი თარგამაძე - 4 პროცენტით, ხოლო შალვა ნათელაშვილი და სალომე ზურაბიშვილი თითოეული - 3 პროცენტით. ჯამურმა მაჩვენებელმა იმ ადამიანებისა, ვინც აღნიშნულ შეკითხვაზე უპასუხა „არ ვიცი“, „არც ერთი კანდიდატი“, „უარი პასუხზე“ და „სხვა“ (დაასახელა კანდიდატი, რომელიც არ მონაწილეობს საპრეზიდენტო არჩევნებში), 46 პროცენტი შეადგინა.

აღნიშნული შედეგები წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის კვლევის - „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, - შემადგენელ ნაწილს, რომლის მიხედვითაც მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხებია სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება.

„პრემიერ მინისტრი ივანიშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი და კოალიცია ქართული ოცნება კვლავ რჩებიან ყველაზე პოპულარულ პოლიტიკურ მოთანაშეებად საქართველოში. ამავდროულად, გამოკითხულები მიიჩნევენ, რომ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი ოპოზიციის არსებობა და ასეთად ერთიან ნაციონალურ მოძრაობას ასახელებენ. წინასაარჩევნო პერიოდის ამ ადრეულ ეტაპზე გიორგი მარგველაშვილი, სამი ერთიანი შეფარდებით, წინ უსწრებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დაუსახელებელ კანდიდატს. თუმცა უცნობია, რა არჩევანს გააკეთებს რესპონდენტების თითქმის ნახევარი არჩევნების დღეს“, ამბობს NDI საქართველოს დირექტორი, ლუის ნავარო.

კვლევა ამა წლის 12 ივნისიდან 26 ივნისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,338 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ჩატარდა ქართულენოვან მოსახლეობას შორის. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.9 %.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC).

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატიის განმტკიცებისა და გავრცელებისთვის მსოფლიოში. NDI მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org